ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180883667**

თარიღი: **29.03.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
ლევან სიხარულიძე
პირადი ნომერი: 01024024502
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 45ა, ბინა 16

თქვენი AR1579145 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ, იუმაშევის ქუჩა N13 და ევროპის ქუჩა N4 მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.19.15.002.027, 01.19.15.001.098, 01.19.15.001.035) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ საკითხის განიხლვისთვის უნდა წარმოადგინოთ სრულყოფილი დასაბუთების ალბომი.

ძირითადი ხარვეზები:

- **წარმოდგენილი გრგ-ს კორექტირებული ალბომი დამუშავებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14-39 ის შესაბამისად, ხოლო საპროექტო ტერიტორიაზე გეგმარებითი დავალება გაცემულია 2012 წლის 7 თებერვალს გადაწყვეტილება №47376-ით ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილებით. მოიყვანეთ გრგ-ს კორექტირებული ალბომი გეგმარებით დავალებასთან შესბამისობაში.**

- **საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში ნაცრისფრად მონიშნული პერსპექტიული განვითარების კონტური გაუგებარია, ექსპლიკაციიდან გამომდინარე ჩანს, რომ ამ ტერიტორიის ათვისება ამ ეტაპზე არ არის დაგეგმილი, შესაბამისად, არც გრაფიკულად არის დამუშავებული, მასში მოქცეული ფუნქციებიც გაუგებარია. შენობა-ნაგებობების სახეობები და მათი ფუნქციური დანიშნულება გამოყავით გარკვევით, ისე რომ ნათლად ჩანდეს თითოეული შენობა-ნაგებობის ფუნქცია, დანიშნულება. (სატვირთო ავტომობილების სადგომზე ზოგიერთ ნახაზზე მითითებულია გრგ-ს პროექტით დაგეგმილი სასადილო შენობა, შეასწორეთ აღნიშნული).**

- **გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-34 დადგენილებით „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განსახილველად გადაგზავნილია გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურებში. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სამსახურების შენიშვნებსა და მითითებებს, დამატებით გაცნობებთ შეტყობინების სახით.**

- გაითვალისწინეთ, რომ **გრგ პროექტის კორექტირებისას ცალკე ფრაგმენტებად** (წარმოდგენილი ფრაგმენტები ემსახურება კორექტირების შედეგად **დაგეგმილი ცვლილებების ილუსტრაციას**) უნდა იქნეს წარმოდგენილი **არსებული** და **კორექტირებული უფლებრივი ზონირების გეგმების ის ნაწილ(ებ)ი, რომელსაც ეხება ცვლილება.**

1. სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტ(ებ)ი წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად;

2. ტოპოგრაფიული გეგმა

<u>ალბომში, ცალკე ფურცლად, წარმოადგინეთ ამზომველი ორგანიზაციის მიერ ბეჭდით დამოწმებული და შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი</u> თარიღის მითითებით–სტანდარტულ ფორმატში: **რიცხვი, თვე, წელი**;

- წარმოადგინეთ ნახაზი **მასშტაბის** დაცვითა და ჩვენებით;
- წარმოადგინეთ ნახაზი **საკოორდინატო ბადის და ვერტიკალური ნიშნულების** (მათ შორის **იზოჰიფსების**) ჩვენებით;
- წარმოადგინეთ ნახაზი აზომილი **ტერიტორიის რელიეფის ყველა მახასიათებლის** გათვალისწინებით;
- წარმოადგინეთ განახლებული ნახაზი უკლებლივ ყველა სახის **შენობა - ნაგებობის** გათვალისწინებით;
- წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთ(ებ)ის **რეგისტრირებული საკადასტრო საზღვრების** ჩვენებით;
- ნახაზზე წარმოადგინეთ **შტამპი;**
- წარმოადგინეთ ნახაზი გეგმაში გამოყენებული **მასშტაბის** მითითებით;
- მიუთითეთ შტამპში შემსრულებელი **პასუხისმგებელი სპეციალისტების** სახელი და გვარი;
- წარმოადგინეთ შტამპი შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტების **ხელმოწერით;**

3. ფოტოსურათები

წარმოადგინეთ დამატებითი ფოტოსურათები, გრგ კორექტირებით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილში სადაც დაგეგმილია განაშენიანება.

- წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის **ფოტოსურათები** მათი **გადაღების თარიღების** მითითებით (სტანდარტულ ფორმატში: **რიცხვი, თვე, წელი**);
- წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ფოტოსურათები მათი **ნუმერაციის** მითითებით;

4. ფიქსაციის სქემა

დამატებით წარმოსადგენი ფოტოსურათების შესაბამისად განაახლეთ სქემა.

5. გეგმარების შემზღუდავი ზონირება

გრგ საპროექტო არეალი მდებარეობს თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალში, კერძოდ: „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონში“. აქედან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი ორგანიზაციის თანხმობა მოცემულ ტერიტორიაზე გრგ პროექტით დაგეგმილი სხვადასხვა ფუნქციის საპროექტო ობიექტების განთავსების შესაძლებლობასთან დაკავშირებით (აღნიშნული შეზღუდვის შესახებ სამსახურს ინფორმაცია მიეწოდა 21.04.2017წ. რაც შესაძლებელია იხილოთ ჩვენი სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე --> „შეზღუდვის ზონებში“);

საპროექტო ტერიტორიას კვეთს კომუნიკაციები (ელექტრო გადამცემი ხაზები, წყალსადენი), აღნიშნული ასახული უნდა იყოს ტოპოგრაფიულ გეგმაზეც და გრგ-ს პროექტში, შესაბამისი შეზღუდვების არეალების დატანით და ზომების მითითებით.

- გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის **ტოპოგრაფიული გეგმა** მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
- ნახაზზე წარმოადგინეთ **საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;**
- ნახაზზე წარმოადგინეთ **გეგმარების შემზღუდავი ზონირება;**

6. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება

- გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის **ტოპოგრაფიული გეგმა** მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით:
- ნახაზზე წარმოადგინეთ **ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირება;**
- გადაამოწმეთ, რომ ნახაზზე მოცემულია **საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;**

7. ფუნქციური ზონირება (არსებული)

- წარმოადგინეთ ნახაზი მგგ დადგენილ ზონირებასთან შესაბამისობაში;

8. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა

- წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთ(ებ)ის **ფართობის** ჩვენებით (მთელის სიზუსტით);

9. დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა

ძირითადი ხარვეზების შესაბამისად წარმოადგინეთ განახლებული გეგმა.

- ნახაზზე წარმოადგინეთ დაზუსტებული **კონკრეტული ფუნქციური ზონირებით;**
- ნახაზზე წარმოადგინეთ ის სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც ვრცელდება **ერთგვაროვანი ფუნქციური ზონები,** აგრეთვე მათი **განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ცხრილში წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის საანგარიშო ფართობები;**
- ნახაზზე ზონების ფერები მოიყვანეთ **მგგ დადგენილ ფერებთან** შესაბამისობაში;
- წარმოადგინეთ ნახაზში მოცემული პარამეტრების ცხრილი ზონაში **უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობებით;**
- პარამეტრების ცხრილში მიუთითეთ მოცემული უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობებისთვის შესაბამისი **ფუნქციები;**

10. მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა

ძირითადი ხარვეზების შესაბამისად წარმოადგინეთ განახლებული გეგმა. <u>დაიტანეთ შენობათა განთავსების სავარაუდო არეალი.</u>

- წარმოადგინეთ ნახაზი სამშენებლო განვითარების **გეგმარებითი ერთეულების** ჩვენებითა და შესაბამისი **ცხრილით;**
- წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემით, **განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზების ან/და** განაშენიანების სავალდებულო **(ლურჯი)** ხაზების ჩვენებით, **<u>ზომების მითითებით.</u>**

- **ცხრილში** წარმოადგინეთ ერთ მიწის ნაკვეთზე **რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი** (აკრძალვა ან დაშვება).

11. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა

- პარამეტრების **ცხრილში** მოცემული უნდა იყოს შენობა-ნაგებობის **მაქსიმალური სიმაღლის მაჩვენებელი;**

- პარამეტრების **ცხრილში** მოცემული უნდა იყოს შენობა-ნაგებობის **მაქსიმალური სართულიანობის მაჩვენებელი;**

12. მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი

ნახაზზე მოცემული უნდა იყოს **მიწის ნაკვეთის გეგმა** მასშტაბის დაცვით და ჩვენებით;

- მიწის ნაკვეთის გეგმაზე მიუთითეთ ნაკვეთის **ნომერი / საკადასტრო კოდი,** მისაკუთვნებელი ფართობი (1 კვ.მ სიზუსტით);

- მიწის ნაკვეთის გეგმაზე მოცემული უნდა იყოს მიწის ნაკვეთების **საზღვრების ზომები** და **კოორდინატები;**

- ნახაზზე მოცემული უნდა იყოს მიწის ნაკვეთის განაწილების სიტუაციური გეგმა **განხილული ნაკვეთის მონიშვნით;**

ნახაზზე წარმოადგინეთ განხილული მიწის ნაკვეთისთვის გრგ დადგენილი **სივრცით–ტერიტორიული რეგლამენტების ცხრილი. ცხრილში მიუთითეთ:**

1. მიწის ნაკვეთის დაგეგმილი **მიზნობრივი დანიშნულება** (სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო — ფუნქციურ ზონასთან შესაბამისობით);
2. მიწის ნაკვეთის **გეგმარების შემზღუდავი ზონა / ქვეზონა;**
3. მიწის ნაკვეთის **ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა / ქვეზონა;**
4. მიწის ნაკვეთის **კონკრეტული ფუნქციური ზონა;**
5. მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების სტატუსი **(სამშენებლო, სამშენებლოდ შეზღუდული, არასამშენებლო**);
6. მიწის ნაკვეთის გამოყენების **ნებადართული სახეობა** და მასში შემავალი **ფუნქციები;**
7. მიწის ნაკვეთის კოეფიციენტები: **კ-1, კ-2, კ-3; (მხოლოდ იმ ფუნქციური ზონებისთის რომლისთისაც გადაწყვეტილება N4-13 დადგენილია პარამეტრები, სხვა შემთხვევაში მიუთითეთ საანგარიშო ფართობები.)**
8. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის მაქსიმალური **სიმაღლე ან/და სართულიანობა;**
9. მიწის ნაკვეთის **მინიმალური ფართობი და ზომები** (საჭიროების შემთხვევაში);
10. მიწის ნაკვეთის **დაყოფა-გაერთიანების რეჟიმი:** აკრძალვა, დაშვება ან/და შესაბამისი პირობა;
11. **ავტოსადგომების აუცილებელი / მინიმალური რაოდენობა;**
12. მიწის ნაკვეთზე **შენობების განთავსების წესი** (აკრძალვა ან დაშვება);

მითითება: ნახაზი მზადდება **თოთოეული მიწის ნაკვეთისთვის ცალკე (ერთ ფურცელზე)** ყველა მოცემული ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით.

13. ძირითადი და ლოკალური გზების ან/და ქუჩების გეგმა

- ნახაზი წარმოადგინეთ **მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმის** საფუძველზე;
- ნახაზზე წარმოადგინეთ არსებული ან/და დაგეგმილი ძირითადი და ლოკალური **საავტომობილო გზები/ ქუჩები** და შესაბამისი პარამეტრების **ცხრილი;**
- პარამეტრების ცხრილში მოცემული უნდა იყოს **ქუჩების/გზების იერარქია** (სახელმწიფო, საქალაქო, საუბნო) და **კატეგორიები** (I, II, III - მთავრობის **57-ე** დადგენილების მიხედვით);
- ნახაზზე მიუთითეთ ქუჩების/გზების **გაბარიტული ზომები** იერარქიისა ან/და კატეგორიების მიხედვით;
- ნახაზი წარმოადგინეთ **ფრაგმენტული კვანძების** ჩვენებით მსხვილ მასშტაბში;
- წარმოადგინეთ ნახაზი საპროექტო ტერიტორიაზე **არსებული** ან/და **დაგეგმილი კერძო და საჯარო სერვიტუტების** დატანით და მათი პირობების ასახვით;

მითითება ნახაზთან დაკავშირებით: საავტომობილო გზა - ხაზობრივი ნაგებობა, განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ გადაადგილებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც შედგება ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სავალი ნაწილისაგან და როგორც წესი ქვეითთა სავალი ნაწილი არ გააჩნია.

1. **გზა** შეიძლება იყოს: საავტომობილო, საჰაერო-საბაგირო, რკინიგზა. საავტომობილო გზა არ არის მოშენებული შენობა-ნაგებობებით.

2. **ქუჩა** - ხაზობრივი ნაგებობა, განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში გადაადგილებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც შედგება ქვეითთა სავალი ნაწილისაგან (ტროტუარი, ქვეითთა ზონა) ან/და ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სავალი ნაწილისაგან და როგორც წესი მოშენებულია შენობა-ნაგებობებით.

3. ნახაზზე გზა და ქუჩა გამიჯნული უნდა იყოს აღნიშვნით.

4. **კერძო სერვიტუტი** დგინდება მესაკუთრეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

საჯარო სერვიტუტი დგინდება საჯარო ინტერესების უზრუნველსაყოფად და ნიშნავს კონკრეტული მიწის ნაკვეთის ან ნაწილის საჯარო სარგებლობაში გადაცემას.

სერვიტუტი წარმოადგენს უკიდურეს აუცილებლობას ქალაქთმშენებლობაში და საჭიროებს დასაბუთებას.

14. ავტოსადგომების განაწილების გეგმა

- ნახაზი წარმოადგინეთ **ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების გეგმის** საფუძველზე;
- ნახაზი წარმოადგინეთ **მიწისზედა** ავტოსადგომების განლაგების სქემის ჩვენებით;
- არსებობის შემთხვევაში, ნახაზი წარმოადგინეთ **მიწისქვეშა** ავტოსადგომების განლაგების სქემის ჩვენებით;

მითითება ნახაზთან დაკავშირებით: ზონირების ნაწილში მოცემული ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული და მითითებული მინიმალური/აუცილებელი ავტოსადგომების რაოდენობა.

15. საგზაო მოძრაობის ორგანიზების გეგმა

- ნახაზი წარმოადგინეთ **ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების გეგმის** საფუძველზე;

- ნახაზზე წარმოადგინეთ საგზაო მოძრაობაში გამოყოფილი **სავალი ნაწილები, მიმართულებები** და **პარამეტრების ცხრილი;**

- **ცხრილში** წარმოადგინეთ საგზაო მოძრაობის **დანიშნულება** (საავტომობილო, საველოსიპედო, ქვეითთა, შერეული);

- **ცხრილში** წარმოადგინეთ სავალი ნაწილების დასაშვები **გამტარიანობის ინდიკატორი** (ერთეული საათში);

- ნახაზზე მოცემული უნდა იყოს საგზაო მოძრაობის **ყველა მონაწილის გადაადგილების რეჟიმი საგზაო ნიშნების გამოყენებით.**

მითითება: სქემა უნდა პასუხობდეს საქართველოს კანონს „საგზაო მოძრაობის შესახებ“.

16. საინჟინრო კომინუკაციები წარმოადგინეთ სქემატურად, დაერთების წერტილების ჩვენებით.

- წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა

- ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა

- ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა

- სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა

17. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა

- წარმოადგინეთ ნახაზი **მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმის** საფუძველზე;

- ნახაზზე მოცემული უნდა იყოს **არსებული ხე-ნარგავები** ტოპოგრაფიული გეგმის შესაბამისად (ხე-ნარგავები, მათი მოჭრის ან/და გადარგვის დაგეგმვის შემთხვევაში უნდა იყოს მონიშნული და დანომრილი);

- ნახაზზე მოცემული უნდა იყოს **გასაშენებელი (საპროექტო) გამწვანება** — ხე-ნარგავების გაშენების არეალები და ტაქსონომია (ხე-ნარგავის ჯიში);

- ნახაზზე წარმოადგინეთ გამწვანების **ტაქსონომია** და შესაბამისი **პარამეტრების ცხრილი;**

- წარმოადგინეთ ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემა იმგვარად, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობათა განთავსების არეალები არ ემთხვეოდეს ხე-ნარგავების განთავსების არეალს;

- წარმოადგინეთ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილება დაავადებული ხე-ნარგავის მოჭრის თაობაზე **ან/და** გამწვანების საქალაქო სამსახურის შესაბამისი დაპირება ხე-ნარგავების სპეციალური ჭრის ან/და გადარგვის თაობაზე;

მითითება: *ხე-ნარგავების მიმართ რეგლამენტები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“ (დამტკიცებულია თბილისის საკრებულოს 2014წ დადგენილება №1755).*

-

18. ვიზუალიზაცია

- წარმოადგინეთ ნახაზი **ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების გეგმის** საფუძველზე;

- ნახაზი წარმოადგინეთ **ვიზუალიზაციის არეალების** მონიშვნით;

- ნახაზზე წარმოადგინეთ ვიზუალიზაციის არეალებში საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანების **განშლების ან/და ჭრილების ნახაზები;**

- ნახაზზე წარმოადგინეთ ვიზუალიზაციის არეალებში საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანების **სამგანზომილებიანი (3D) მაკეტი;**

<u>მითითება:</u> ვიზუალიზაცია მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ მიზნების შესაბამისად.

19. ამონაწერები და თანხმობის აქტები

- წარმოადგინეთ შპს „გებრიუდერ ვაის“-ის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მინდობილობა ან დაარეგისტრირეთ თანაგანმცხადებლად.

- ქ. თბილისის მერის 2013 წლის 3 ივნისის განკარგულება N1081 დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის მთავარი არქიტექტორი არის Zoltan Temesi, ხოლო ამჟამად წარმოდგენილი პროექტის მთავარი არქიტექტორია ლევან სიხარულიძე. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 15-ის პირველი პუქტის „სამშენებლო დოკუმენტაციის შემუშავებისას და არქიტექტურული ობიექტის მშენებლობისას პროექტში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მისი ავტორის თანხმობით. არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებიდან გადახვევის შემთხვევაში საჭიროა შეთანხმება ამ დავალების მიმცემ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ორგანოსთან.“ შესაბამისად, წარმოადგინეთ არიქტექტორ Zoltan Temesi-ის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით შესწორებული კორექტირებული პროექტი უნდა აიტვირთოს http://tas.ge/–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში. ხოლო 2018 წლის 1 აპრილიდან შესწორებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge

მხოლოდ წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, საკითხი განსახილველად გადაგზავნილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ პროექტის მოწონების შემთხვევაში საკითხი გადაიგზავნება ქალაქ თიილისის მუნიცილაპიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;

თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო ანმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;

თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ 30 დღე.

გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)



რუსუდან მირზიკაშვილი